დანართი №1

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება „ზაფხულის ლიდერთა სკოლის“ ფუნქციონირებისა და მასში მონაწილე ახალგაზრდების შერჩევის შესახებ

1. **ზოგადი დებულებები**

1.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ „ზაფხულის ლიდერთა სკოლის“ ორგანიზების წესსა და პირობებს, აგრეთვე მეთოდოლოგიური და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის საკითხებს.
1.2 ახალგაზრდების გადამზადება „ზაფხულის ლიდერთა სკოლაში“ მიმდინარეობს ქალაქგარეთ საკურორტო ზონებში ზაფხულის პერიოდში.
1.3 „ზაფხულის ლიდერთა სკოლაში“ 17 -დან 29 წლამდე ახალგაზრდები გაემგზავრებიან ეტაპობრივად - 2 ნაკადად. თითოეულ ნაკადში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენს 37 ახალგაზრდას და 8 თანამშრომელს (4 ლიდერი, 2 ტრენერი, 1 ლიდერთა სკოლის ხელმძღვანელი, 1 ინსპექტირების ჯგუფის წევრი). „ზაფხულის ლიდერთა სკოლის“ თითოეული ნაკადის ხანგრძლივობა შეადგენს 5 ღამეს და 6 დღეს.
1.4 „ზაფხულის ლიდერთა სკოლა“ გაიმართება საქართველოს რომელიმე კურორტზე.

2. **„ზაფხულის ლიდერთა სკოლის“ მიზნები და ამოცანები**

2.1 „ზაფხულის ლიდერთა სკოლის“ მიზანია შექმნას გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების პიროვნულ განვითარებას, მათი შესაძლებლობებიდან და ლიდერობის პოტენციალიდან გამომდინარე.
2.2 „ზაფხულის ლიდერთა სკოლის“ ამოცანებია:

- ლიდერული პოტენციალის მქონე ახალგაზრდების აღმოჩენა;
- ახალგაზრდებში ლიდერული თვისებების გამოვლენა და განვითარება;
- სოციალურად აქტიური ახალგაზრდის იმიჯის ფორმირება;
- პროექტების შემუშავება, რომლებიც მიმართულია მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად.

3. **„ზაფხულის ლიდერთა სკოლაში“ ახალგაზრდების ორგანიზების წესი და პირობები**

3.1 ქალაქ ქუთაისის მერიის დაფინანსებით „ზაფხულის ლიდერთა სკოლაში“ მონაწილეობის უფლება აქვთ:

- 17-დან 29 წლამდე სოციალურად აქტიურ, ქ. ქუთაისში რეგისტრირებულ ახალგაზრდებს.

3.2 მსურველები ავსებენ სპეციალურ სააპლიკაციო ფორმას, რომელიც განთავსდება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის FB გვერდზე.

3.3 „ზაფხულის ლიდერთა სკოლაში“ მონაწილეობისათვის ესაჭიროებათ: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.
3.4 ახალგაზრდის მიერ ვადამდე დატოვების შემთხვევაში გამოთავისუფლებულ ადგილს დაიკავებს რეზერვში მყოფი ახალგაზრდა, თუ სკოლის დასრულებამდე დარჩენილია არანაკლებ 3 (სამი) დღისა. სკოლიდან გარიცხული ახალგაზრდის და რეზერვში მყოფი ახალგაზრდის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს ახალგაზრდის მშობელი/მეურვე ან თავად ახალგაზრდა.

4. **„ზაფხულის ლიდერთა სკოლის“ საქმიანობის ორგანიზება**

4.1 ლიდერთა სკოლას ხელმძღვანელობს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც ახორციელებს:

- ამ დებულებით განსაზღვრული მიზნების, ამოცანების და პროგრამის ხარისხიან შესრულებას;
- აკონტროლებს სკოლის მონაწილეთა კვებას: მის შესაბამისობას დამტკიცებულ კვების მენიუსთან, პროდუქტების ხარისხს;
- აკონტროლებს საცხოვრებელი პირობების შესაბამისობას სატენდერო პირობებთან. გეგმავს, ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს სკოლის საქმიანობას. პასუხისმგებელია მისი მუშაობის ეფექტურობასა და ხარისხზე;
- აცნობს სკოლის მონაწილეებს შინაგანაწესს;
- შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას მონაწილის მიერ „ლიდერთა სკოლის“ ვადაზე ადრე დატოვების თაობაზე, რასაც აცნობებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს;
- მონაწილის მიერ საკუთარი სურვილით ბანაკის ვადამდე დატოვების შემთხვევაში ვალდებულია დროულად აცნობოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს, რათა მოხდეს გამოთავისუფლებული ადგილის რეზერვში მყოფი ახალგაზრდით ჩანაცვლება;
- ასრულებს სხვა საქმიანობებს, რომელიც უზრუნველყოფს „ლიდერთა სკოლის“ ეფექტურ მუშაობას.

5. **„ზაფხულის ლიდერთა სკოლა“ თითოეული ნაკადისთვის საჭიროებს 4 ლიდერის მონაწილეობას. ლიდერი:**

- მეთვალყურეობას უწევს თავის ჯგუფს, უზრუნველყოფს ტრენინგებისთვის საჭირო მასალების დარიგებას, სატრენინგო სივრცის მოწყობას. მეთვალყურეობას უწევს მონაწილეთა მიერ შინაგანაწესისა და დღის წესრიგის დაცვას;

- მონაწილეობს ლიდერთა სკოლაში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობების საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში;
- მონაწილის მიერ შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში, აცნობებს „ლიდერთა სკოლის“ ხელმძღვანელს და განმეორების შემთხვევაში უფლებამოსილია ხელმძღვანელის წინაშე აღძრას შუამდგომლობა მონაწილის მიერ „ლიდერთა სკოლის“ ვადამდე დატოვების თაობაზე.

6. **ტრენერი და ტრენინგების კურსის თემატიკა**

6.1 ტრენინგებს უნდა წარუძღვეს პირი, რომელსაც აქვს თემატიკაში მითითებული ტრენინგის ჩატარების არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. ტრენერმა უნდა წარმოადგინოს ტრენინგ-დღეებზე გაწერილი სამუშაო გეგმა, რომელიც უნდა შეთანხმდეს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებასთან. ტრენინგი უნდა მოიცავდეს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ საკითხებს და დისკუსიებს. ტრენინგის ხანგრძლივობა უნდა იყოს თითოეულ ნაკადში (5 დღე) დღეში 5 აკადემიური საათი. სატრენინგო კურსი მთლიანობაში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 25 სთ.

6.2 ტრენინგების თემატიკა: 1. ხელოვნური ინტელექტი (AI) და მომავლის ლიდერობა; 2. გუნდური მუშაობა და კრეატიული მენეჯმენტი; 3. სტრატეგიული კომუნიკაცია და კრიზისების მართვა.

7. **„ზაფხულის ლიდერთა სკოლის“ ფორმატი**

7.1 „ლიდერთა სკოლის“ საქმიანობა მოიცავს სატრენინგო კურსს და თავისუფალ დროს.
7.2 ტრენინგები ჩატარდება 5 დღის განმავლობაში თითოეული ნაკადისთვის 5 დღის განმავლობაში შინაგანაწესით განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად
7.3 თავისუფალ დროს ახალგაზრდებს შეუძლიათ განახორციელონ სხვადასხვა ხასიათის სპორტული, შემოქმედებითი და ინტელექტუალური გასართობი აქტივობები.

8. **დაფინანსების წესი და პირობები**

„ლიდერთა სკოლის“ დაფინანსება ხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ბიუჯეტიდან ახალგაზრდული პროგრამით გათვალისწინებული „ზაფხულის ლიდერთა სკოლის“ ქვეპუნქტიდან გამოყოფილი თანხით.

9. „ზაფხულის ლიდერთა სკოლის“ მონაწილეთა შერჩევა

9.1 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ „ლიდერთა სკოლაში“ მონაწილეობის თაობაზე განაცხადების მიღება გრძელდება 2026 წლის 12 აგვისტოს 18:00 სთ-მდე.
9.2 განაცხადების მიღება იწარმოებს ელექტრონულად, სააპლიკაციო ფორმის საშუალებით, რომელიც განთავსდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ გვერდზე და პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის FB გვერდზე.
9.3 კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება უზრუნველყოფს:

- ახალგაზრდების ინფორმირებას „ზაფხულის ლიდერთა სკოლაში“ მონაწილეთა მიღების შესახებ;
- სააპლიკაციო ფორმების შეგროვებას და დროებითი კომისიისათვის გადაცემას;
- გასაუბრების ჩატარების საორგანიზაციო საკითხების მოწესრიგებას;
- შედეგების გამოქვეყნებასა და შერჩეული კანდიდატების ინფორმირებას.

10. მონაწილეთა შერჩევის ეტაპები

I ეტაპი - სააპლიკაციო ფორმების გადარჩევა; II ეტაპი - აპლიკანტებთან გასაუბრება

11. "ზაფხულის ლიდერთა სკოლის" მონაწილის შესარჩევი კრიტერიუმები:

- აპლიკანტის ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
- საბაზისო კომპეტენციის დონე;
- მოტივაცია აღნიშნულ პროექტში მონაწილეობისათვის და მზაობა მუნიციპალიტეტთან შემდგომი თანამშრომლობისათვის.

12. დროებითი კომისიის შექმნისა და მუშაობის წესი

12.1 დროებითი კომისია იქმნება "ლიდერთა სკოლის" მონაწილეთა შერჩევის მიზნით. კომისია განიხილავს წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ატარებს გასაუბრებას პრეტენდენტებთან.
12.2 დროებით კომისიას არა უმეტეს 6 წევრის შემადგენლობით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის წარდგინებით ნიშნავს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი შესაბამისი ბრძანებით.
12.3 კომისია საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

13. **დროებითი კომისიის ფუნქციები.**

დროებითი კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) გადაარჩევს პრეტენდენტების სააპლიკაციო ფორმებს;
ბ) ატარებს გასაუბრებას პრეტენტენდებთან და შეარჩევს "ლიდერთა სკოლის" მონაწილეებს;
გ) მონაწილეთა შერჩევის შემდეგ კომისია ასრულებს მუშაობას.

14. **დროებითი კომისიის მუშაობის ორგანიზება**

14.1 კომისიის სხდომა იმართება კომისიის თავმჯდომარის მოწვევით;
14.2 კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე.
14.3 კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
14.4 კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით ღია კენჭისყრით. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
14.5 კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით. მას ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები.
14.6 კომისიის მუშაობის საქმისწარმოებას ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.
14.7 ოქმები და მასალები ინახება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულში კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურში.
14.8 კომისიის სხდომის მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი
დავით ერემეიშვილი

David Eremeishvili

Digitally signed by David Eremeishvili
DN: cn=David Eremeishvili, serialNumber=PNOGE-60001027787, givenName=David, sn=Eremeishvili, o=Citizen, c=GE
Date: 2026.07.28 12:42:20 +04'00'